Infection prevention and control during health care when COVID-19 is suspected or confirmed

The five IPC strategies required to prevent or limit transmission of COVID-19 in health care facilities include the following:*

1. **Screening and triaged for early recognition of patients with suspected COVID-19, and rapid implementation of source control measures**
    - *Screening and triage*
    - *Isolation or designated waiting area*

2. **Applying standard precautions for all patients**
    - *Hand hygiene*
    - *Respiratory hygiene*
    - *Use of PPE*
    - *Environmental cleaning*
    - *Waste management*

3. Implementing additional precautions
    - *Isolation and cohorting of patients with suspected or confirmed COVID-19*
    - *Contact and droplet precautions*
    - *Airborne precautions*

4. **Implementing administrative controls**
    - *Administrative measures related to health workers*
    - *Administrative measures to manage visitors*

5. Implementing environmental and engineering controls

**Infection prevention and control during health care when coronavirus disease (COVID-19) is suspected or confirmed.*
WHO Interim guidance. 29 June 2020.

IPC Capacity assessment

During the IPC trainings, conducted by the Healthcare policy Division (MoH) in COVID-19 and Fever clinics, three important topics emerged, concerning the main components highlighted by the WHO interim guide on IPC at HCF. These include the triage system, PPE usage and staff rotation plan/schedule.

In order to assess the IPC capacity for COVID-19 the following tools can be used:

1. Hospital readiness checklist for COVID-19 (WHO, Interim version, February 19, 2020)
    - IPC, Human resources and case management components from the checklist
2. "Healthcare facility triage of suspected COVID-19 cases Checklist and monitoring tool" (CDC) (*Annex 1*)
    - SoP for triage of suspected COVID-19 cases (*Annex 2)*
3. Standard precautions' assessment
    - PPE donning/doffing check (observation)
    - Hand hygiene check (observation) (*Annex 3*)
4. Check with the HCF management
    - Local regulatory document for staff rotation (schedule/shifts)
    - Screening (documented)

*For **Public Health Centers** PPE donning/doffing monitoring and strategic resources can be checked*

Annex 1

COVID-19 -ზე საეჭვო შემთხვევების ტრიაჟი სამედიცინო დაწესებულებაში
კითხვარი და მონიტორინგის ინსტრუმენტი

დაწესებულების დასახელება: _____ **თარიღი:** _____

შემფასებელი: _____ **შემფასებლის თანამდებობა: -** _____

დანიშნულება: სამედიცინო დაწესებულებაში ტრიაჟის პროცესის (COVID-19-ით სავარაუდოდ ინფიცირებული პაციენტების ადრეული გამოვლენა და გამოცალკევება) შეფასება, პაციენტებსა და ჯანდაცვის პერსონალის COVID-19-ით დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად. ეს ინსტრუმენტი ასევე შიძლება გამოყენებულ იქნეს ჯანდაცვის დაწესებულებებში ტრიაჟის კრიტიკული კომპონენტების დანერგვის პროგრესის შესაფასებლად.

მითითებები:

- მონიშნეთ „დიახ“ ან „არა“ თითოეული პუნქტისთვის და ჯანდაცვის დაწესებულების საკონტაქტო პირს აცნობეთ ყველა იმ პუნქტის შესახებ, რომელზეც მოინიშნა პასუხი „არა“.
-მონიტორინგის მიზნით უნდა შეავსოთ სვეტები "#" ანუ “რაოდენობა“ და "ჯამური #" ანუ „ჯამური რაოდენობა“.
- სვეტი "%" ან პროცენტი უნდა გამოითვალოს "რაოდენობის #" გაყოფით "ჯამურ რაოდენობაზე" და 100-ზე გამრავლებით.
- რუხი ფერით გამოყოფილი უჯრები ცარიელი უნდა დარჩეს.

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
ზოგადი							
1. პაციენტების კლინიკაში ვიზიტის დაგეგმვა შესაძლებელია						*დააკვირდით, არის თუ არა ტელეფონი / ცხელი ხაზი. ეს უნდა*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
ტელეფონის /ცხელი ხაზის საშუალებით						*იყოს ეროვნული ცხელი ხაზისგან განსხვავებული სატელეფონო ნომერი.*	
2. ყველა შესასვლელში არის ნიშნები, რომლებიც რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებს მიუთითებენ, რომ პირდაპირ მივიდნენ რეგისტრატურაში						*საჭიროა ყველა შესასვლელის იდენტიფიცირება, სადაც უნდა იყოს ვიზუალური ნიშნები. მიუთითეთ ნიშნის მქონე შესასვლელების რაოდენობა და შეფასებული შესასვლელების ჯამური რაოდენობა (#) შესაბამის სვეტებში*	
3. რესპირატორული ჰიგიენის და ხველის ეტიკეტის შესახებ ნიშნები განთავსებულია ყველა შესასვლელში, მოსაცდელში და ლიფტებთან.						*მიუთითეთ ნიშნის მქონე შესასვლელების რაოდენობა და შეფასებული შესასვლელების ჯამური რაოდენობა (#) შესაბამის სვეტებში*	
4. ხელის ჰიგიენის ადგილები ხელმისაწვდომია ყველა შესასვლელში						*სასურველია სპირტის შემცველი ხელის საწმენდი სითხე ან ხელსაბანი ნიჟარა თხევადი საპნითა და წყლით. მიუთითეთ ხელის ჰიგიენის ადგილების მქონე შესასვლელების რაოდენობა და შეფასებული შესასვლელების ჯამური რაოდენობა (#) შესაბამის სვეტებში*	
ტრიაჟის სივრცე							
1. რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის ფუნქციონირებს დამოუკიდებელი							

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
რეგისტრატურა							
2. ტრიაჟის სივრცეს აქვს:							
ა. ფიზიკური ბარიერი თანამშრომლებსა და პაციენტებს შორის (მაგ., პლასტიკის/მინის ფანჯარა)						*დააკვირდით ფიზიკური ბარიერი თუ არის ხელმისაწვდომი რეგისტრატურაში. თუ „დიახ“, მიუთითეთ ფიზიკური ბარიერის მქონე რეგისტრატურების რაოდენობა და შეფასებული რეგისტრატურების საერთო რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
ბ. ტრიაჟის ალგორითმი / კითხვარი						*დააკვირდით, არის თუ არა ტრიაჟის ალგორითმი / კითხვარი რეგისტრატურაში. თუ „დიახ“, მიუთითეთ ალგორითმის / კითხვარის მქონე რეგისტრატურების რაოდენობა და შეფასებული რეგისტრატურების ჯამური რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
გ. სახის ნიღბები რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის						*დააკვირდით, არის თუ არა ნიღბები ხელმისაწვდომი რეგისტრატურაში. თუ „დიახ“, მიუთითეთ ასეთი რეგისტრატურების რაოდენობა და შეფასებული რეგისტრატურების ჯამური რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
დ. ქაღალდის ხელსახოცი						*დააკვირდით, არის თუ არა*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის						*ქაღალდის ხელსახოცები რეგისტრატურებში.* *თუ „დიახ“, მიუთითეთ ასეთი რეგისტრატურების რაოდენობა და შეფასებული რეგისატრატურების ჯამური რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
ე. ხელის ჰიგიენის ადგილი						*დააკვირდით სპირტის შემცველი ხელის საწმენდის სითხის ან თხევადი საპნიანი და წყლიანი ხელსაბანი ნიჟარის სისტემის არსებობას.* *თუ „დიახ“, მიუთითეთ გამართული ხელის ჰიგიენის ადგილების რაოდენობა ტრიაჟის სივრცეში და შეფასებული ხელის ჰიგიენის ადგილების საერთო რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
ვ. თავსახურიანი ნაგვის ურნა						*დააკვირდით არის თუ არა ნაგვის ურნები რეგისტრატურასთან. თუ „დიახ“, მიუთითეთ ასეთი რეგისტრატურების რაოდენობა და შეფასებული რეგისტრატურების ჯამური რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
3. ტრიაჟზე გაპიროვნებულია კლინიკური პერსონალი						*შეამოწმეთ პერსონალის სარეგისტრაციო ჟურნალები / მორიგეობის განრიგი ან სხვა ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
						პერსონალის მოვალეობებს.	
4. გაპიროვნებული კლინიკური პერსონალი გადამზადებულია ტრიაჟის პროცედურებში						*ჰკითხეთ პასუხისმგებელ პირს. თუ „დიახ“, მიუთითეთ გადამზადებული პერსონალის რაოდენობა და ტრიაჟის სივრცეში კლინიკური პერსონალის ჯამური რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
5. ხშირად შეხებადი ზერაპირები იწმინდება და დეზინფიცირდება ყოველ 2 საათში						*ჰკითხეთ დასუფთავების პერსონალს,რა სიხშირით ასუფთავებენ სივრცეს.*	
6. სივრცე იწმინდება და დეზინფიცირდება 0.5% -იანი ქლორის შემცველი ხსნარისდა/ ან 70% -იანი სპირტის გამოყენებით						*ჰკითხეთ დასუფთავების პერსონალს და დააკვირდით რას იყენებენ დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის.*	
“რესპირატორული მოსაცდელი სივრცე”							
1. ხელმისაწვდომია ერთადგილიანი ოთახები კარებით						*დააკვირდით*	
თუ ერთადგილიანი ოთახი არ არის ხელმისაწვდომი, არსებობს განცალკეცებული სივრცე მწვავე რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის						*დააკვირდით, არის თუ არა ცალკე ტერიტორია, რომელიც „რესპირატორული მოსაცდელია“.*	
2. სივრცე კარგად არის ვენტილირებული						*დააკვირდით. მოძებნეთ ღია ფანჯრები და დახურული კარი ან გარე სივრცე.*	
3. "რესპირატორულ მოსაცდელში“ არის:							
ა.მინიშნება „რესპირატორული მოსაცდელი“						*დააკვირდით*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
ბ. რესპირატორული ჰიგიენისა და ხველის ეტიკეტის თვალსაჩინოებები						*დააკვირდით*	
გ. სკამებს ან მერხებს შორის მანძილი, სულ მცირე 1 მ-ია						*დააკვირდით*	
დ. ქაღალდის ხელსახოცები						*დააკვირდით*	
ე. ხელის ჰიგიენის ადგილი						*სასურველია სპირტიანი ხელის საწმენდი სითხე ან ხელსაბანი ნიჟარა თხევადი საპნითა და წყლით.*	
ვ. თავსახურიანი ნაგვის ურნა						*დააკვირდით*	
ზ. დამოუკიდებელი საპირფარეშო						*დააკვირდით*	
4. პაციენტები ერთმანეთისგან განცალკევებულნი არიან მინიმუმ 1 მ-ით						*დააკვირდით პაციენტის განთავსებას*	
5. ხშირად შეხებადი ზერაპირები იწმინდება და დეზინფიცირდება ყოველ 2 საათში						*ჰკითხეთ დამლაგებლებს თუ რა სიხშირით ალაგებენ სივრცეს.*	
6. სივრცე იწმინდება და დეზინფიცირდება 0.5% -იანი ქლორის შემცველი ხსნარის ან 70% -იანი სპირტის გამოყენებით						*ჰკითხეთ დამლაგებლებს და დააკვირდით რა გამოიყენება წმენდისა და დეზინფექციისათვის.*	
ტრიაჟის პროცესი							
1. ყოველი პაციენტი ფასდება რესპირატორული სიმპტომების არსებობაზე						*დააკვირდით. თუ „არა“, მიუთითეთ რესპირატორული სიმპტომების არსებობაზე შეფასებული პაციენტების რაოდენობა ; ასევე პაციენტების*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
						ჯამური რაოდენობა, რომელსაც დააკვირდით შესაბამის სვეტებში. დაკვირვების ხანგრძლივობა განსხვავებულია-შემფასებლის განკარგულებაში არსებული დროის მიხედვით.	
2. ტრიაჟის პერსონალი იყენებს ტრიაჟის ალგორითმს/კითხვარს თითოეული პაციენტისთვის						*დააკვირდით. თუ „არა“, მიუთითეთ ალგორითმის/კითხვარის გამოყენებით შეფასებული პაციენტების რაოდენობა ; ასევე პაციენტების ჯამური რაოდენობა, რომელსაც დააკვირდით -შესაბამის სვეტებში. დაკვირვების ხანგრძლივობა განსხვავებულია-შემფასებლის განკარგულებაში არსებული დროის მიხედვით.*	
3. რესპირატორული სიმპტომების მქონე ყველა პაციენტი აღჭურვილია ნიღბით (ან ალტერნატიული იდს)						*დააკვირდით. თუ „არა“, მიუთითეთ ნიღბიანი პაციენტების რაოდენობა ; ასევე პაციენტების ჯამური რაოდენობა, რომელსაც დააკვირდით -შესაბამის სვეტებში. დაკვირვების ხანგრძლივობა განსხვავებულია-შემფასებლის განკარგულებაში არსებული დროის მიხედვით.*	
4. თითოეული პაციენტი, რომელიც აკმაყოფილებს COVID-19-ზე საეჭვო შემთხვევის განსაზღვრებას,						*დააკვირდით. თუ „არა“, მიუთითეთ პაციენტების რაოდენობა, რომელიც*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
დაუყოვნებლივ თავსდება "რესპირატორული მოსაცდელის" იზოლირებულ სივრცეში						*იზოლირებულია/მოთავსებულია რესპირატორულ მოსაცდელში და პაციენტების ჯამური რაოდენობა,რომელსაც დააკვირდით და აკმაყოფილებდნენ შემთხვევის განსაზღვრებას. დაკვირვების ხანგრძლივობა განსხვავებულია- შემფასებლის განკარგულებაში არსებული დროის მიხედვით.*	
5. დაწესებულებაში მოქმედებს "რესპირატორულ მოსაცდელში" მოთავსებული პაციენტების თანმხლები პირების შეზღუდვის პოლიტიკა						*სთხოვეთ, გაჩვენონ დაწესებულების შესაბამისი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.*	
ინდივიდუალური დამცავი საშუალებები (იდს)							
1. იდს ხელმისაწვდომია:							
ა. ქირურგიული ნიღბები						*მოინახულეთ საწყობი, იდს-ის ჩაცმა/გახდის სივრცეები .*	
ბ.თვალის დამცავი						*მოინახულეთ საწყობი, იდს-ის ჩაცმა/გახდის სივრცეები*	
გ. ერთჯერადი ქირურგიული ხალათები						*მოინახულეთ საწყობი, იდს-ის ჩაცმა/გახდის სივრცეები*	
დ. ერთჯერადი ხელთათმანები						*მოინახულეთ საწყობი, იდს-ის ჩაცმა/გახდის სივრცეები*	
ე. სქელი ხელთათმანები						*მოინახულეთ საწყობი, იდს-ის ჩაცმა/გახდის სივრცეები*	
ვ. წყალგაუმტარი ფეხსაცმელი (ჩექმები/ბოტები)						*მოინახულეთ საწყობი, იდს-ის ჩაცმა/გახდის სივრცეები.*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
2. პერსონალს გავლილი აქვს სწავლება იდს-ს სწორად გამოყენებაში, მათ შორის გახდა/ჩაცმაში						*ჰკითხეთ პერსონალს და შეამოწმეთ სწავლებაზე დასწრების ჩანაწერები, თუ შესაძლებელია. თუ არსებობს, მაშინ მიუთითეთ თანამშრომელთა რაოდენობა, ვინც გაიარა სწავლება იდს-ის გამოყენებაზე; ასევე მიუთითეთ პერსონალის ჯამური რაოდენობა შესაბამის სვეტებში.*	
3. არსებობს იდს-ს ჩაცმა/გახდის სივრცეები						*დააკვირდით. ჩაცმისა და გახდის სივრცეები განცალკევებით უნდა იყოს.*	
4. იდს-ს ჩაცმა/გახდის წესის ამსახველი თვალსაჩინოებები (ან ბუკლეტები) განთავსებულია იდს-ს ჩაცმა/გახდის სივრცეებში						*დააკვირდით.თუ „დიახ“ მაშინ მიუთითეთ ჩაცმისა და გახდის სივრცეების რაოდენობა, სადაც განთავსებულია პლაკატები ; ასევე ჩაცმისა და გახდის სივრცეების ჯამური რაოდენობა.*	
5. ხელის ჰიგიენის ადგილები ხელმისაწვდომია იდს-ს ჩაცმა/გახდის სივრცეებში						*სასურველია სპირტის შემცველი ხელის საწმენდი სითხე ან ხელსაბანის სისტემა თხევადი საპნით. თუ „დიახ“ მიუთითეთ ხელის ჰიგიენის ადგილების მქონე ჩაცმისა და გახდის სივრცეების რაოდენობა; ასევე ჩაცმისა და გახდის სივრცეების ჯამური რაოდენობა.*	
6. ჯანდაცვის პერსონალი, რომელიც რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტების გამოკვლევას ახორციელებ აღჭურვილია:							
ა. ქირურგიული ნიღბით						*მიუთითეთ პერსონალის*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
						რაოდენობა, რომელსაც ნიღაბი ეკეთა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.	
ბ. თვალის დამცავით (სახის ფარი ან სათვალე)						*მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც თვალის დამცავი საშუალებები ჰქონდა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.*	
გ. ერთჯერადი ხელთათმანებით						*მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც ხელთათმანი ეცვა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა..*	
დ. ერთჯერადი ქირურგიული ხალათით						*მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც ხალათი ეცვა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.*	
7. არასამედიცინო პერსონალი (დამლაგებლები, ნარჩენების მართვაში ჩართული პირები და სხვა) ტრიაჟის, მოსაცდელ და შეფასების სივრცეებში აღჭურვილია:							
ა. ნიღბით						*მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც ნიღაბი ეკეთა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.*	
ბ. თვალის დამცავით (თუ არსებობს ორგანული მასალის ან ქიმიკატის გაშხეფების საფრთხე)						*მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც თვალის დამცავი საშუალებები ჰქონდა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.*	
გ. სქელი ხელთათმანებით						*მიუთითეთ პერსონალის*	

	დიახ	არა	#	ჯამური #	%	მითითებები შემფასებლისთვის	შემფასებლის კომენტარები
						რაოდენობა, რომელსაც სქელი ხელთათმანი ეცვა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა..	
დ. ერთჯერადი ხალათით						*მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც ხალათი ეცვა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.*	
ე. დახურული ფეხსაცმელით						*შესაძლოა ეცვას შესაბამისი ფეხსაცმელი, თუ ტალახია. მიუთითეთ პერსონალის რაოდენობა, რომელსაც დახურული ფეხსაცმელი ეცვა და დაკვირვების ქვეშ მყოფი პერსონალის ჯამური რაოდენობა.*	

Annex 2

სტანდარტული სამუშაო პროცედურა COVID-19-ზე საეჭვო პაციენტების ტრიაჟისათვის:ადრეული იდენტიფიკაცია და გადადების პრევენცია ტრიაჟის დროს

1. ისტორია/მიზანი

ეს დოკუმენტი განკუთვნილია სამედიცინო დაწესებულებებისთვის, რომლებიც იღებენ ან ემზადებიან კორონავირუსზე საეჭვო ან დადასტურებული დაავადების მქონე პაციენტთა მისაღებად (COVID-19). ეს მოიცავს სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტაციონარულ ან ამბულატორიულ მომსახურებას. ეს უნდა იქნას გამოყენებული ტრიაჟის პროცედურების განხორციელების სახელმძღვანელოდ, რაც შეიძლება ეფექტიანი იყოს SARS-CoV-2 (COVID-19 ვირუსი) პაციენტებსა და ჯანდაცვის მუშაკებზე გადაცემის თავიდან ასაცილებლად. ეს დოკუმენტი შემუშავებულია COVID-19– ის მიმდინარე მონაცემებისა და სხვა რესპირატორული ვირუსების გამოცდილების საფუძველზე და განახლდება, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება მეტი ინფორმაცია.

1.1 რა არის ტრიაჟი

პაციენტების ან დაზარალებულთა განაწილება და კლასიფიკაცია საჭიროების პრიორიტეტისა და მკურნალობის შესაფერისი ადგილის დასადგენად .[1] ინფექციური დაავადების აფეთქების დროს, ტრიაჟი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განვაცალკეოთ სავარაუდოდ ინფიცირებული პაციენტები . ტრიაჟის ეს სსპ შემუშავებულია COVID-19 პანდემიის კონტექსტში და არ ცვლის სამედიცინო დაწესებულებებში უკვე დამკვიდრებულ რუტინულ კლინიკურ ტრიაჟს (მაგ., მანჩესტერის ტრიაჟის სისტემა ან ექვივალენტი), რის მიხედვითც ხდება პაციენტების გადაუდებელ კატეგორიებისთვის მიკუთვნება.

1.2 COVID-19 -ის გადაცემა

COVID-19– ის გადაცემის ძირითადი გზა რესპირატორული წვეთებია, როდესაც ინფიცირებული ადამიანი ახველებს ან აცემინებს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ახლო კავშირშია რესპირატორული სიმპტომების მქონე პირთან (მაგ. ცემინება, ხველება და ა.შ.)არის პოტენციურად ინფექციური რესპირატორული წვეთებით ინფიცირების რისკის წინაშე.[2] წვეთები შეიძლება ასევე დაეცეს ზედაპირებზე, სადაც ვირუსი, შესაძლოა, ცოცხლობდეს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. დაბინძურებულ ზედაპირებთან ხელების კონტაქტით გადატანა შეიძლება მოხდეს პირის, ცხვირის ღრუს და თვალის ლორწოვან გარსებში.

2. რისი გაკეთება შეუძლიათ პაციენტებს ჯანდაცვის დაწესებულებაში მისვლამდე და მის შემდეგ

- აცნობონ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს წინასწარ რესპირატორული სიმპტომების (მაგ. ხველა, ცემინება, ქოშინი) შესახებ, დარეკვით
- ატარონ ნიღაბი, თუ ეს შესაძლებელია, ტრანსპორტირებისას და სამკურნალო დაწესებულებაში ტრიაჟის დროს
- აცნობონ ტრიაჟის რეგისტრატურას რესპირატორული სიმპტომების შესახებ, ადგილზე მისვლისთანავე
- დაიბანონ ხელები სამედიცინო დაწესებულების შესასვლელთან საპნით და წყლით ან გაიწმინდონ სპირტის შემცველი სითხით
- ატარონ ქაღალდის ან ნაჭრის ხელსახოცები პირის ღრუს ან ცხვირის დასაფარად. საჭიროა ამ ხელსახოცების უტილიზაცია გამოყენებისთანავე
- შეინარჩუნონ ფიზიკური დისტანცია, სულ მცირე ერთი მეტრის დაშორება, ყველასთან, პაციენტის თანმხლების ჩათვლით (მაგალითად, თანამგზავრი ან მომვლელი)

3. რა შეიძლება გააკეთოს სამედიცინო დაწესებულებამ, პაციენტებისა და ჯანდაცვის მუშაკებში ინფექციის რისკის შესამცირებლად

ტრიაჟისთვის პაციენტებს ვიზიტამდე დაუკავშირდნენ

- ცხელი ხაზის შექმნა, სადაც:

o პაციენტებს შეუძლიათ დარეკონ ან გააგზავნონ ტექსტური შეტყობინება და დაწესებულებას, სადაც სამკურნალოდ მისვლას აპირებენ, შეატყობინონ რესპირატორული სიმპტომების შესახებ

o თუ ეს შესაძლებელია, სატელეფონო კონსულტაციის საშუალებით განსაზღვრონ პაციენტის დაწესებულებაში მისვლის აუცილებლობა.

o პაციენტებს აცნობენ იმ პროფილაქტიკური ზომების შესახებ, რომლებიც უნდა გაატარონ დაწესებულებაში მისვლისას (მაგ., ნიღბის ტარება, ხველებისას პირის დასაფარად ხელსახოცის გამოყენება).

- მიაწოდონ ფართო საზოგადოებას ინფორმაცია, ადგილობრივი მასმედიის საშუალებებით, როგორიცაა რადიო, ტელევიზია, გაზეთები და სოციალური მედია პლატფორმები, ცხელი ხაზის არსებობის და COVID-19- ის სიმპტომების შესახებ.

- სამედიცინო დაწესებულებებმა, ხელისუფლებასთან ერთად, უნდა განიხილონ ტელემედიცინის ფორმატი (მაგ., მობილური ტელეფონით ვიდეოკონფერენცია ან ტელეკონფერენცია), რათა უზრუნველყონ პაციენტის კლინიკური დახმარება უშუალო კონტაქტის გარეშე.[3]

ტრიაჟის მოწყობა და აღჭურვა

• ობიექტის შესასვლელთან განათავსეთ მკაფიო ნიშნები, რომლებიც რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებს მიუთითებენ დაუყოვნებლივ მივიდნენ გადაუდებელი დახმარების განყოფილების რეგისტრატურაში ან იმ განყოფილებაში, სადაც მკურნალობენ (მაგ., სამშობიარო, პედიატრიული, აივ კლინიკა) (დანართი 1). დაწესებულებებმა უნდა

  განიხილონ რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისათვის ცალკე რეგისტრატურის მოწყობა, განსაკუთრებით სასწრაფო დახმარების განყოფილებებში, და შესასვლელში იმ ნიშნების განთავსება, რომლებიც პაციენტებს მიუთითებს ამ რეგისტრატურისკენ.

• უზრუნველყოს ნიღბების და ქაღალდის ხელსახოცის ხელმისაწვდომობა რეგისტრატურაში, აგრეთვე ახლომდებარე ხელის ჰიგიენის ადგილებში. ტრიაჟში ხელმისაწვდომი უნდა იყოს თავსახურიანი ურნა, სადაც პაციენტებს შეეძლებათ გამოყენებული ქაღალდის ხელსახოცის მოთავსება.

• ფიზიკური ბარიერების დამონტაჟება (მაგ., შუშის ან პლასტმასის ეკრანები) რეგისტრატურაში (მაგ., მიმღებში), რათა შეიზღუდოს მჭიდრო კონტაქტი რეგისტრატურის პერსონალსა და პოტენციურად ინფექცირებულ პაციენტებს შორის.

• ხელის ჰიგიენის ადგილების ხელმისაწვდომობა ტრიაჟის მიდამოში, მათ შორის - მოსაცდელებში.

• განათავსეთ ვიზუალური გამაფრთხილებელი ნიშნები რესპირატორული ჰიგიენის, ხველის ეტიკეტის და ფიზიკური დისტანცირების შესახებ დაწესებულების შესასვლელთან და სტრატეგიულ ადგილებში (მაგ., მოსაცდელები ან ლიფტები). ეს უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ხველების ან ცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვის წესის და დაბინძურებული ნივთების ნარჩენების ურნაში მოთავსების შესახებ (დანართი 2).

• გააპიროვნეთ კლინიკური პერსონალი (მაგ. ექიმები ან ექთნები) იმ პაციენტთა შეფასებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორული სიმპტომები ტრიაჟში. ამ პერსონალისთვის უნდა ჩატარდეს სწავლება ტრიაჟის პროცედურებში, COVID-19 შემთხვევების განსაზღვრასა და შესაბამისი ინდივიდუალური დამცავი საშუალებების (იდს) გამოყენებაში (მაგ., ნიღაბი, თვალის დაცვა, ხალათი და ხელთათმანები).

•ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელიც მუშაობს პაციენტების მიმღებში,ჩაუტარეთ სწავლება ხელის ჰიგიენაში; ასწავლეთ სათანადო დისტანციის შენარჩუნება და ის, თუ როგორ უნდა აუხსნან პაციენტს ნიღბის გამოყენების, ხელის ჰიგიენის და სხვა პაციენტებისგან განცალკევების შესახებ.

• ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტრიაჟის სტანდარტიზებული ალგორითმი/კითხვარი; ის უნდა მოიცავდეს კითხვებს, რომლებიც განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა პაციენტი COVID-19– ის შემთხვევების განმარტებას [4] (დანართი 3). გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, ჯანდაცვის მუშაკებში უნდა წაახალისონ COVID-19– ზე კლინიკური ეჭვის მიტანის მაღალი დონე.

• მოაწყვეთ "რესპირატორული ლოდინის ზონა" COVID-19-ზე საეჭვო პაციენტებისთვის

- იმ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც არ არის ცალკე იზოლირებული ოთახების საკმარისი რაოდენობა, ან მდებარეობენ მაღალი გადაცემის ადგილებში, უნდა გამოიყოს განცალკევებული, კარგად ვენტილირებადი ადგილი, სადაც COVID-19– ის მაღალი რისკის მქონე პაციენტებს შეეძლებათ მოცდა. ამ სივრცეში სკამები და მერხები განცალკევებულია,სულ მცირე, ერთი მეტრის დაშორებით. „რესპირატორული მოსაცდელებს“ უნდა ჰქონდეს გამოყოფილი საპირფარეშოები და ხელის ჰიგიენის ადგილები.

• განათავსეთ მკაფიო ნიშნები, რომლებიც პაციენტებს ამცნობს „რესპირატორული მოსაცდელის“ შესახებ. რეგისტრატურის პერსონალს ასწავლეთ,რომ რეგისტრაციის შემდეგ, დაუყოვნებლივ, პაციენტები გაგზავნონ ამ მოსაცდელებში.

• უზრუნველყავით ქაღალდის ხელსახოცები, სპირტიანი ხელის საწმენდები და თავსახურიანი ნაგვის ურნა „რესპირატორული მოსაცდელებისთვის“.

• შეიმუშავეთ პროცესი, რომელიც შეამცირებს პაციენტების „რესპირატორული მოსაცდელში“ ყოფნის დროს; ეს შეიძლება მოიცავდეს:

o COVID-19 მაღალი რისკის მქონე ტრიაჟის პაციენტებზე დამატებითი კადრების მიმაგრებას
o შეტყობინებების სისტემის შექმნას, რომელიც პაციენტებს საშუალებას მისცემს მოიცადონ საკუთარ მანქანაში ან დაწესებულების გარეთ (იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო თვალსაზრისით მიზანშეწონილია) ისეთ ადგილზე, სადაც შესაძლებელია დისტანციის შენარჩუნება და ტელეფონით ან სხვა დისტანციური მეთოდით შეტყობინება მათი რიგის დადგომის შესახებ .

ტრიაჟის პროცესი

• რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებს უნდა მიეცეს ნიღაბი დაწესებულებაში მისვლისთანავე, თუ მათ უკვე არ აქვთ. "რესპირატორულ მოსაცდელში" ყველა პაციენტს უნდა ეკეთოს ნიღაბი.

• თუ ნიღბები არ არის ხელმისაწვდომი, მიაწოდეთ ქაღალდის ხელსახოცები, ან მოსთხოვეთ პაციენტს ცხვირის და პირის ღრუს დაფარვა შარფით , ბენდენით ან მაისურით ტრიაჟის მთელი პროცესის დროს-"რესპირატორულ მოსაცდელში“ ყოფნისას . ხელნაკეთი ქსოვილის ნიღაბი ასევე გამოსადეგია როგორც წყაროს კონტროლი. სიფრთხილეა საჭირო, რადგან ეს ნივთები შეიძლება დაბინძურდეს და გახდეს სხვა პაციენტებზე ან ოჯახის წევრებზე გადაცემის წყარო. პაციენტებმა და ოჯახის წევრებმა ამ ნივთების გაწმენდისას უნდა დაიცვან ჯანმოს ინსტრუქცია (https://www.who.int/news-room/q-a-detail/q-a-on-infection-prevention-and-control-for-health-care-workers-caring-for-patients-with-suspected-or-confirmed-2019-ncov).

• მიჰყევით ტრიაჟის პროტოკოლს (დანართი 3) და დაუყოვნებლივ მოახდინეთ მაღალი რისკის პაციენტების იზოლირება კარდახურულ, ერთადგილიან ოთახებში ან გამოყოფილ „რესპირატორულ მოსაცდელში“.

• შეზღუდეთ COVID-19 -ზე საეჭვო პაციენტის თანმხლები ოჯახის წევრების რაოდენობა მოსაცდელში (არ დაიშვებიან 18 წელზე უმცროსი ასაკის პირები, თუ არ არიან პაციენტები ან მშობელი). „რესპირატორულ მოსაცდელში“ ყველას ნიღაბი უნდა ეკეთოს.

• ტრიაჟის არე, მათ შორის „რესპირატორული მოსაცდელები“ უნდა გაიწმინდოს დღეში ორჯერ მაინც, ხშირად შეხებად ზედაპირებზე ფოკუსირებით. დასუფთავება შესაძლებელია 0.5% (5000ppm) ქლორით ან 70% -იანი სპირტით იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც ქლორის მიმართ მედეგი არაა (დანართი 4).[5]

** COVID-19– ის მაღალი რისკის მქონე პაციენტების განსაზღვრება შეიცვლება იმისდა მიხედვით, თუ აფეთქების რომელ ეტაპზეა ქვეყნა (მაგ., არ არსებული ან შეზღუდული გადაცემა საზოგადოებაში თუ ფართოდ გავრცელება). იხილეთ დანართი 2 სხვადასხვა ეპიდემიოლოგიური სცენარისთვის.*

4. რა შეიძლება გააკეთონ ჯანდაცვის მუშაკებმა, საკუთარი თავის და პაციენტების დასაცავად ტრიაჟის დროს

- ჯანდაცვის ყველა მუშაკმა უნდა დაიცვას სტანდარტული სიფრთხილის ზომები, რომელიც მოიცავს ხელის ჰიგიენას, რისკის შეფასებაზე დაფუძნებულ იდს-ს არჩევას, რესპირატორული ჰიგიენის დაცვას, დასუფთავებასა და დეზინფექციას და უსაფრთხო ინიექციების პრაქტიკას.

• ჯანდაცვის ყველა მუშაკს უნდა ჰქონდეს გავლილი სწავლება და იცნობდეს იპკ ზომებს (მაგ. კონტაქტისა და წვეთის უსაფრთხოება, სათანადო ხელის ჰიგიენა, იდს-ის ჩაცმა/გაკეთება და გახდა/მოხსნა), რომელიც დაკავშირებულია COVID-19– თან.

o დაიცავით იდს-ს ჩაცმა/გაკეთება და გახდა/მოხსნის წესები (დანართი 5).
o ხშირად შეასრულეთ ხელით ჰიგიენა სპირტიანი საშუალებით გაწმენდით, თუ ხელები არ არის ხილულად დაბინძურებული ან საპნით და წყლით, თუ ხელები დაბინძურებულია.

• ჯანდაცვის ყველა მუშაკი, რომლებსაც აქვთ კონტაქტი COVID-19-ზე საეჭვო ან დადასტურებულ პაციენტებთან, უნდა ატარებდეს შესაბამისი იდს-ს:

o ტრიაჟის არეში მყოფ ჯანდაცვის მუშკებს, რომლებიც ატარებენ წინასწარ სკრინინგს არ სჭირდებათ იდს, თუ მათ არა აქვთ უშუალო კონტაქტი პაციენტთან და იცავენ , სულ მცირე, ერთი მეტრის მანძილის დისტანციას. მაგალითები:

- ჯანდაცვის მუშაკები რეგისტრატურაში, რომლებიც სვამენ შეზღუდულ კითხვებს ტრაიაჟის პროტოკოლის საფუძველზე. ფიზიკური ბარიერების დამონტაჟება (მაგ., შუშის ან პლასტიკური ეკრანები), მისასალმებელია, თუ ეს შესაძლებელია.

- ჯანდაცვის მუშაკები, რომლებიც არიგებენ ნიღბებს ან უზომავენ ტემპერატურას ინფრაწითელი თერმომეტრით, სადაც დაშორება სივრცეში უსაფრთხოდ შენარჩუნდება.

o ჯანდაცვის მუშაკებს, რომლებიც ატარებენ რესპირატორული სინდრომების მქონე პაციენტების ფიზიკურ გამოკვლევებს, უნდა ეცვათ ხალათი, ხელთათმანები, ეკეთოთ სამედიცინო ნიღაბი და თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი).

o ტრიაჟის,მოსაცდელისა და გასინჯვის ადგილების დამლაგებლებს უნდა ეცვათ ხალათი, სქელი ხელთათმანები, ეკეთოთ სამედიცინო ნიღაბი, თვალის დაცვა (თუ არსებობს ორგანული მასალის ან ქიმიური ნივთიერებების შეშხეფების რისკი), ეცვათ ჩექმები ან დახურული სამუშაო ფეხსაცმელი.

• ჯანდაცვის მუშაკები, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორული სიმპტომები (მაგ., ხველა, ქოშინი), უნდა დარჩნენ სახლში და არ მიიღონ მონაწილეობა ტრიაჟში ან სხვა საქმიანობაში .

• უზრუნველყონ გარემოს დასუფთავების და დეზინფექციის პროცედურების დაცვა თანმიმდევრულად და სწორად (https://www.who.int/publations-detail/water-sanitation-hygiene-and-waste-management-for-covid-19).

5. დამატებითი მოსაზრებები საზოგადოებაში გადაცემის პერიოდებში

• დანერგეთ ან გააძლიერეთ პირისპირ ტრიაჟის და ვიზიტების არსებული ალტერნატივები, როგორიცაა ტელემედიცინა[3].

• გამოყავით დაწესებულების მახლობლად მდებარე ტერიტორია (მაგალითად, დამხმარე ნაგებობა ან დროებითი სტრუქტურა) ან განსაზღვრეთ სივრცე, რომელიც იქნება „რესპირატორული ვირუსების შეფასების ცენტრი“, სადაც ცხელების ან რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტების შეფასება და მოვლა მოხდება.

• თუ შესაძლებელია, გაზარდეთ სამუშაო საათები, რათა შეზღუდოთ ტრიაჟში ხალხმრავლობა პიკის საათებში.

• გააუქმეთ ამბულატორიული ვიზიტები,რომლებიც გადაუდებელი არ არის. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ჯანდაცვის მუშაკების საკმარის რაოდენობას შეეძლება COVID-19– ზე კლინიკურ რეაგირებაში ჩართვა, მათ შორის -ტრიაჟის ღონისძიებებში. კრიტიკული ან გადაუდებელი ამბულატორიული ვიზიტები (მაგ. ჩვილების ვაქცინაცია ან პრენატალური შემოწმება მაღალი რისკის ორსულობისთვის) უნდა გაგრძელდეს.თუმცა, დაწესებულებამ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ასეთი პაციენტებისათვის უზრუნველყოს ცალკე/გაპიროვნებული შესასვლელი, რათა აიცილოს მათი COVID-19-ით ინფიცირების რისკი.

• ზოგიერთი პროცედურის და ოპერაციის გადადება ან გაუქმება, ადგილობრივი ეპიდემიოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე.

Annex 3

იდს-ს ჩაცმა/გაკეთება კონტაქტის/გაშხეფების წინააღმდეგ სიფრთხილის ზომების დაცვით

1. ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა
    - სპირტიანი სითხით ხელის გაწმენდა -20-30 წმ
    - წყალი და საპონი-იბანეთ ხელი 40-60 წმ-ის განმავლობაში
2. ჩაიცვით ხალათი
3. გაიკეთეთ სამედიცინო ნიღაბი
4. გაიკეთეთ თვალის დამცავი-სათვალე ან სახის ფარი
5. ჩაიცვით ხელთათმანი- დარწმუნდით, რომ ხელთათამანი ფარავს ხალათიან მაჯას

იდს-ს გახდა/მოხსნა კონტაქტის/გაშხეფების წინააღმდეგ სიფრთხილის ზომების დაცვით

1. გაიხადეთ ხელთათმანები
2. გაიხადეთ ხალათი-ხალათი ისე უნდა გაიხადოთ, რომ არ მოხდეს ვირუსის გაფრქვევა ირგვლივ
3. ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა
    - სპირტიანი სითხით ხელის გაწმენდა -20-30 წმ
    - წყალი და საპონი-იბანეთ ხელი 40-60 წმ-ის განმავლობაში
4. მოიხსენით თვალის დამცავები-სათვალე ან სახის ფარი
5. მოიხსენით სამედიცინო ნიღაბი
6. ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა
    - სპირტიანი სითხით ხელის გაწმენდა -20-30 წმ
    - წყალი და საპონი-იბანეთ ხელი 40-60 წმ-ის განმავლობაში

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) - ჩაცმა კონტაქტური/წვეთოვანი უსაფრთხოების ზომები

1 დაიმუშავეთ ხელები

ალკოჰოლის შემცველი ხსნარით
20-30 წამის განმავლობაში

ან

საპნითა და წყლით
40-60 წამის განმავლობაში



2 ჩაიცვით ხალათი

3 გაიკეთეთ ნიღაბი

სამედიცინო ნიღაბი

4 გაიკეთეთ თვალების დამცავი

ფარი ან სათვალე

5 ჩაიცვით ხელთათმანები

დარწმუნდით, რომ ხელთათმანის მანჟეტი
ზემოდან ფარავს ხალათის სახელოს



ინდივიდუალური დაცვის
საშუალებების სრული კომპლექტი

World Health Organization

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) - გახდა კონტაქტური/წვეთოვანი უსაფრთხოების ზომები

დარწმუნდით, რომ ხელმისაწვდომია ინფექციური ნარჩენების კონტეინერი. ასევე, სხვა კონტეინერი, მრავალჯერადი გამოყენების ნივთებისთვის

მნიშვნელოვანია იდს-ს მოხსნის თანმიმდევრობა

Order is important

1 გაიხადეთ ხელთათმანები

2 გაიხადეთ ხალათი

გაიხადეთ ხალათი ამობრუნებით, შიდა ზედაპირით გარეთ. დარწმუნდით, რომ თქვენი ტანსაცმელი არ კონტამინირდება

3 დაიმუშავეთ ხელები

ალკოჰოლის შემცველი ხსნარით
20-30 წამის განმავლობაში

ან

საპნითა და წყლით
40-60 წამის განმავლობაში

4 მოიხსენით თვალების დამცავი

ფარი ან სათვალე

5 მოიხსენით ნიღაბი

დარწმუნდით იმაში, რომ არ ეხებით ნიღაბს

6 დაიმუშავეთ ხელები

ალკოჰოლის შემცველი ხსნარით
20-30 წამის განმავლობაში

ან

საპნითა და წყლით
40-60 წამის განმავლობაში



World Health Organization